საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 8 23 0000182999

16/02/2023

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზანტიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 31 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. აკრედიტაციის დებულების 27^5 მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 15 დეკემბრის წერილით წარმოდგენილ იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის №18930/01-06-03 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის - №1614690; №1614717, 16/12/2022), რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „ბიზანტიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2022 წლის 23 დეკემბრის №1651399 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილიისს ახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2023 წლის 12 იანვრის №19607 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა 2023 წლის 16, 17 და 18 იანვარს.

ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	**x**			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება,	**x**			

პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა ***2023 წლის 14თებრვალს.*** სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული აკრედიტაციის სტანდარტების საერთო შეფასება.

***3.* სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ.

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით

გათვალისწინებულ „ბიზანტიური ფილოლოგიის“ საბაკალავროსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიზანტიური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი N2).
3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 თებერვლის სხდომის №182950 ოქმის №03 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი№3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

რეკომენდაციები:

4.1. რეკომენდებულია, რომ სასწავლო წლის განმავლობაში რეგულარულად, გარკვეული პერიოდულობით, ტარდებოდეს სწავლის შედეგების მონაცემთა შეგროვება და მათი ანალიზი, მათი შედეგები გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს და გამოყენებულ იქნეს პროგრამების გასავითარებლად და გასაუმჯობესებლად;
4.2.რეკომენდებულია, შუალედური შეფასების (გამოცდის) შემდეგ პროფესორმასწავლებლებს და სტუდენტებს აქტიური უკუკავშირის საშუალება მიეცეთ, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების მიზნით, განმავითარებელი შეფასების შესაბამისად;
4.3. განახლდეს და სტუდენტების საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული, მოქნილი გახდეს ელექტრონული სასწავლო ბაზა, სტუდენტის პორტალი - LMS-ი;
4.4. სტუდენტთა გამოკითხვებს მიეცეს პერიოდული და რეგულარული ხასიათი და შემუშავდეს საუკეთესო მექანიზმი, რათა სტუდენტთა ინტერესები, მათი კმაყოფილება ყოველსემესტრულად იკვლიონ და შემდგომ შესაბამისი რეაგირება მოახდინონ. ამასთან, გამოკითხვები იყოს ანონიმური და კონფიდენციალურობის პრინციპებით განხორციელებადი.

რჩევები:

1. სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსები სასწავლო გეგმაში სემესტრულად გაიწეროს (საფეხურის შესაბამისად, 8 სემესტრი ან 4 სემესტრი) რაც სტუდენტებს გაუადვილებს კურიკულუმში ორიენტაციას და არჩევანის გაკეთებას.
2. სასურველის პროგრამების შემუშავების და განვითარების პროცესში დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მეტი ჩართულობა;
5. სასურველია, მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული სტუდენტთა მოსაზრებები პროგრამებში პრაქტიკის ელემენტის და სასწავლო კურსებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების შესახებ.
6. სასურველია, ბიუჯეტი კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის წარმოდგენილი იყოს არა მხოლოდ კლასტერულად, არამედ ცალ-ცალკეც, პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით და მასში ინფორმაცია ასახული იყოს უფრო დეტალურად, რაც შესაძლებელს გახდის თითოეული პროგრამის ბიუჯეტის გააანალიზებას და ფინანსური მდგრადობის შეფასებას;
7. სასურველის კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სასწავლო პროცესის განსახორციელებელი კორპუსების (თსუ-ის V, VIII კორპუსები) რეაბილიტაცია, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით; უნდა მოწესრიგდეს მატერიალურ-ტექნიკური

ბაზა, ინფრასტრუქტურა, აუდიტორიები უნდა აღიჭურვოს თანამედროვე საპრეზენტაციო ტექნიკით, რომ სასწავლო პროცესში შეფერხების გარეშე იქნეს გამოყენებული მულტი მედია და სხვა ტექნოლოგიები

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 14 თებერვალს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზანტიური ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№ 179, 28.10.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ბიზანტიური ფილოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზანტიური ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თსუ I კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), VIII კორპუსი (ი. ჭავჭავაძის გამზ. №13)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 14 თებერვალი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 14 თებერვალი